საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო
Ministry of Finance
of Georgia

4812-04-02-2-201701161655

N 04-02/4812
16/01/2017

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტროს

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განიხილა თქვენი 2016 წლის 27 დეკემბრის N01/93564 წერილი და გაცნობებთ, რომ „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად აბონენტს (საყოფაცხოვრებო მომხმარებელს) აუნაზღაურდება მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ***ყოველთვიური საფასურის*** 50 პროცენტი, მაგრამ არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტ.სთ ელექტროენერგიის საფასურისა.

ამასთან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს მთავრობის მიერ დარეგულირდეს წესი წერილში მითითებული ორმაგი საფუძვლის წარმოშობის შემთხვევაში ერთ-ერთი უფლებით სარგებლობის თაობაზე, დღეს არსებული პრაქტიკის სოციალური დახმარებების გათვალიწინებით, რომელიც გულისხმობს უფრო მეტი სარგებლის ან პირადი არჩევანის მიხედვით გაცემას.

გიორგი კაკაურიძე

მინისტრის მოადგილე

0114 Tbilisi, გორგასლის ქუჩა 16
ტელ: (+99532) 2261412;
ელფოსტა: info@mof.ge
ვებგვერდი: www.mof.ge

0114 Tbilisi, 16 Gorgasali Street
Tel: (+99532) 2261412;
E-mail: info@mof.ge
Website: www.mof.ge